

საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსი

თანხმობის ელექტრონული განაცხადის შევსების ინსტრუქცია

თანხმობის ელექტრონული განაცხადის შესავსებად აკრიფეთ მისამართი <http://directors.mes.gov.ge/> და დააჭირეთ ლილაკს „რეგისტრაცია“:

პირველადი ავტორიზაციის მიზნით შესაბამის ველებში მიუთითეთ სერტიფიკატის წელი, სერტიფიკატის ნომერი (სერიის გარეშე), სახელი, გვარი, თერთმეტნიშნა პირადი ნომერი და დააჭირეთ ლილაკს

პირველადი ავტორიზაცია

სერტიფიკატის წელი *

სერტიფიკატის ნომერი *

სახელი (ქართულად) *

გვარი (ქართულად) *

პირადი # (თერთმეტნიშნა) *

ავტორიზაცია

„ავტორიზაცია“:

შენიშვნა #1: გაითვალისწინეთ, პირველადი ავტორიზაციის ფორმაში ვარსკვლავით (*) მონიშნული ველების შევსება სავალდებულოა.

იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არაკორექტულად/არასწორად იქნა შევსებული ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.

შენიშვნა #2: სერტიფიკატის წელი გულისხმობს საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მოპოვების დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წელს.

წარმატებული ავტორიზაციის შემთხვევაში საჯარო სკოლის დირექტორობის უფლების მქონე პირი იწყებს თანხმობის განაცხადის ელექტრონული ფორმის შევსებას, რომელიც შედგება ორი ეტაპისაგან.

პირველ ეტაპზე აუცილებელია დირექტორობის უფლების მქონე პირმა მიუთითოს საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტა, მობილურის ნომერი), ატვირთოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და ფოტოსურათის ელ.ვერსია, აკრიფოს სამოტივაციო წერილი ფორმაში გამოყოფილ სპეციალურ არეში და მომდევნო ეტაპზე გადასვლის მიზნით დააჭიროს

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტა *

ტელეფონი (მაგ.: 577232325) *

ასატვირთი დოკუმენტები

პირადობის / პასპორტის მოწმობის ასლი *

No file chosen

ფოტოსურათი (3x4) *

No file chosen

სამოტივაციო წერილი (მაქსიმუმ 4000 სიმბოლო) *

ლილაკს „გაგრძელება“.

შენიშვნა #3: გაითვალისწინეთ, თითოეული ასატვირთი ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 2MB-ს.

თანხმობის განაცხადის ელექტრონული ფორმის შევსების II ეტაპზე აუცილებელია დირექტორობის უფლების მქონე პირმა ამოიწიოს და დაამატოს არაუმეტეს სამი საჯარო სკოლა, რომელშიც სურს ასარჩევად

ამოარჩიეთ და დაამატეთ არაუმეტეს 3 საჯარო სკოლა, რომელშიც გასურთ ასარჩევად წარედგინოთ სამეურვეო საბჭოს.

რეგიონი *

რაიონი *

სკოლა *

სკოლის დამატება

წარედგინოს სამეურვეო საბჭოს.

შენიშვნა #4: სასურველი სკოლის/სკოლების დამატების მიზნით აუცილებელია ფორმაში არსებული ველებიდან აირჩიოთ რეგიონი, რაიონი, საჯარო სკოლა და დააჭიროთ ღილაკს „სკოლის დამატება“.

შენიშვნა #5: დამატებული სკოლების ნაშლა შესაძლებელია სკოლის გასწვრივ არსებული ღილაკით.

დამატებული სკოლები

სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოს საჯარო სკოლა

წაშლა

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხის საჯარო სკოლა

წაშლა

სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლა

წაშლა

მომდევნო ეტაპზე სისტემა უზრუნველყოფს შევსებული ინფორმაციის შესაბამისად თანხმობის განაცხადის ფორმის გენერაციას, რომლის დამონშების მიზნით აუცილებელია დააჭიროთ ღილაკს „დადასტურება და გადაგზავნა“.

თანხმობის განაცხადის ფორმის დადასტურებისთანავე დირექტორობის უფლების მქონე პირი მიიღებს სპეციალურ კოდს, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინების, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გაითვალისწინეთ, კოდი უნიკალურია და გამოიყენება სისტემაში შემდგომი ავტორიზაციის მიზნით.

თანხმობის განაცხადში მითითებული საჯარო სკოლების ცვლილების მიზნით, აუცილებელია შეხვიდეთ ვებგვერდზე <http://directors.mes.gov.ge/> და გაიაროთ ავტორიზაცია უნიკალური კოდით.

ავტორიზაცია უნიკალური კოდით

კოდი (რომელიც მიიღეთ ელ.ფოსტაზე და SMS შეტყობინებით) *